განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრი

2015-2016 სასწავლო წლის
გაზაფხულის სემესტრი

# სტუდენტთა მობილობა

www.students.eqe.ge

## ვიდეოინსტრუქცია

www.youtube.com




**მისამართი:**
საქართველო, თბილისი 0193,
მ. ალექსიძის ქ. №1
(+995 32) 2200 220 (3522 ან 3523);
ელ-ფოსტა: mobility@eqe.ge;
www.eqe.ge/geo/mobility

# ექვსი ნაბიჯი მობილობისთვის

1. გაიარე რეგისტრაცია მობილობის პორტალზე → 22 იანვრის 12:00 სთ-დან 04 თებერვლის 18:00 სთ-მდე
2. გააკეთე განაცხადი მობილობაზე, დააფიქსირე არჩევანი და დაალაგე პრიორიტეტებად → 22 იანვრის 12:00 სთ-დან 04 თებერვლის 18:00 სთ-მდე
3. გადაიხადე მობილობის საფასური (40 ლ.) სს საქართველოს ბანკში → 22 იანვრის 12:00 სთ-დან 04 თებერვლის 18:00 სთ-მდე
4. გაეცანი მობილობის შედეგებს პორტალზე → 8 თებერვალი
5. დაუყოვნებლივ მიმართე წერილობითი განცხადებით მიმღებ უსდ-ს და წარუდგინე პირადი საქმის ასლები → 8-9-10 თებერვალი
6. გაეცანი მიმღები უსდ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობას და წერილობითი განცხადებით დაადასტურე თანხმობა/უარი → დაწესებულების დადგენილი ვადები

WWW.STUDENTS.EQE.GE

## მობილობის უფლება აქვს

1. ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ):

   ა) **აქტიური** სტატუსის მქონე სტუდენტს;

   ბ) 2010 წლის 4 თებერვლის შემდგომ:

   - **შეჩერებული** სტატუსის მქონე სტუდენტს სტატუსის შეჩერებიდან **5 წლის** განმავლობაში;
   - **შეწყვეტილი** სტატუსის მქონე სტუდენტს სტატუსის შეწყვეტიდან **12 თვის** განმავლობაში;

2. 2010 წლის 4 თებერვლამდე **გარიცხულ/ამორ-იც-ხულ** პირს გარიცხვიდან/ამორიცხვიდან **10 წლის** განმავლობაში;

3. პირს, რომელსაც გავლილი პროგრამის ნაწილი აღ-იარებულად ეთვლება - აღიარებულ რეჟიმში სწავ-ლის შეწყვეტიდან **10 წლის** განმავლობაში.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლების ერთი წლის შემდეგ.

არჩევანის დაფიქსირების დროს გაითვალისწინეთ უსდ-ს მიერ დადგენილი გადასვლის წინაპირობები.

2013 და 2014 წელს ჩარიცხული მაგისტრანტები მობილობის უფლებას მოიპოვებენ მათ მიერ ჩაბ-არებული საერთო სამაგისტრო გა-მოცდის ტესტის ტიპის შესაბამის საგ-ანმანათლებლო პროგრამაზე.

WWW.STUDENTS.EQE.GE

## გრანტის გადატანა

- მობილობის განხორციელებისას სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის **გადატანა დაუშვებელია** არააკრედიტებულ საგანმანათლებლო პრო-გრამაზე;
- **დაუშვებელია** ნაწილობრივი გრანტის ან/და სო-ციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც აღ-ნიშნული გრანტის მოპოვების წელს ფინანსდე-ბოდა მხოლოდ სრული გრანტით, **გამონაკლისია** ის შემთხვევა, როდესაც სოციალური გრანტი სტუდენტის მიერ მოპოვებულია იმ საგანმანათ-ლებლო პროგრამაზე, რომელიც სოციალური გრანტის მოპოვების წელს ფინანსდებოდა სრული გრანტით.
- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის **გადატანა შესაძლებელია** იმ პროგრამულ მიმართულებაზე,

  - რომელზეც ჩაირიცხა სტუდენტი,

  - რომელიც გრანტის მოპოვების წელს მიეკუთ-ვნებოდა პრიორიტეტულ პროგრამულ მიმარ-თულებას.

### გაითვალისწინეთ

მობილობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში (22.01.2016-04.02.2016 18:00 სთ-მდე) სტუდენტი ვერ მიიღებს მონაწილეობას მობილობაში.

## გაიარეთ რეგისტრაცია ელექტრონულ პორტალზე

თუ თქვენი მონაცემები არ არის ასახული რეესტრში, ცენტრში წარმოადგინეთ შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია:
  - ჩარიცხვის ბრძანება;
  - კურსიდან კურსზე გადაყვანის ბრძანება;
  - გარიცხვა/ამორიცხვის ბრძანებები;
  - სასწავლო ბარათი;
  - ატესტატი/წინა საფეხურის დიპლომი;
  - პირად საქმეში არსებული ყველა სხვა დოკუმენტი (მაგ.: ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი, ჩათვლის წიგნაკი და სხვა).

**გთხოვთ გაითვალისწინოთ**

საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში სტუდენტის მონაცემები აისახება კანონით დადგენილ ვადებში – მომართვიდან 15 ან 30 სამუშაო დღეში.

შესაბამისად, გთხოვთ, მოგვმართოთ დროულად.

WWW.STUDENTS.EQE.GE

მობილობის კონკურსში წარმატება დამოკიდებულია თქვენ მიერ ერთიანულ გამოცდებზე მოპოვებულ საკონკურსო ქულაზე.

## მობილობაში უკონკურსოდ მონაწილეობენ:

- დოქტორანტები, მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე კანონიერად ჩარიცხული სტუდენტები (მაგ.: 2005 წლამდე ჩარიცხული სტუდენტები, მინისტრის ბრძანებით ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვა).

კრედიტების თავსებადობის დადგენა და აღიარება არის მიმღები დაწესებულების კომპეტენცია.

**ყურადღება!**

მიმღებ უმაღლეს დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი ყოფილ უმაღლეს დაწესებულებაში.

WWW.STUDENTS.EQE.GE